## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 12/1

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „12 აგვისტო 2011 წ.

ერთის მხრივ *შპს გარე-განათების დირექტორი როლანდო ხარაზიშვილის სახით* (შემდგომში „შემსყიდველი")
და მეორეს *შ.პ.ს. თორნიკე (ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი №84; დირექტორის სახით* (შემდგომში „მომწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება**

*შპს გარე განათებამ ხვიდობა ელ სადენები შესყიდვა (საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი"*

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს *1850(ერთიათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.*

**3. საქონლის მიწოდების პირობები**

3.1 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 20 სექტემბრამდე.

3.2 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი შეუფერხებლად.

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ხარვეზის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მომწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

**5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი**

5.1 ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

**6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

**7. ანგარიშსწორების ვალუტა**

7.1 ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**9. უფლებების გადაცემა**

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

**10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 შემსრულებელი უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების საკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია

**14. ფორს-მაჟორი**

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

**15. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**16. გამოყენებული სამართალი**

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**17. ხელშეკრულების ენა**

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

**18. გადასახადები და დაბეგვრა**

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

**19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2011 წლის 20 სექტემბრამდე

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მოტითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი –შემსყიდველს.

**"შემსყიდველი"-** *შპს გარე განათება [illegible] რუსთაველის მოედანი ქ№1 ა/ა№GE31LB0113151122742000 სახალხო ბანკი LBRTGE22 s/k 228156584*

________________________ */ რ. ხარაზიშვილი /*

ბ.ა.

**"მიმწოდებელი"** შ.პ.ს თორნიკე *ს/კ №202234509 თბილისი გურამიშვილის გამზირი №84*

________________________

ბ.ა.

"შემსყიდველი'———————— "მიმწოდებელი"————————